

ლექსიკოგრაფია ციფრულ ეპოქაში („ქართული ლექსიკონი“)

ლოლაძე ნანა

დათუკიშვილი ქეთევან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი
ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფი, თბილისი

<https://doi.org/10.52340/idw.2025.80>

აბსტრაქტი. „ქართული ლექსიკონი“ არის ქართული ენის პირველი ილუსტრირებული სასწავლო განმარტებითი ლექსიკონი. იგი 2014 წელს გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ. ლექსიკონის დახმარებით მომხმარებელს შეუძლია, ერთი მხრივ, ადეკვატურად გაიგოს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, მართებულად გამოიყენოს ის შესაბამის კონტექსტში.

„ქართული ლექსიკონი“ მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქტიურ სიტყვიერ მარაგს, ითვალისწინებს აგრეთვე სასაუბრო ლექსიკას. მასში ასახულია ნეოლოგიზმები, რომლებიც გაჩნდა ენაში უკანასკნელ ათწლეულებში ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული მოვლენების შედეგად.

ლექსიკონში სიტყვები განმარტებულია ნათელი, მარტივი ენით. არ გამოიყენება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნაკლებ აქტიურია, ვიდრე განსამარტავი სიტყვა. მოცემულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით მართებული ფორმები. ზოგიერთ სალექსიკონო ერთეულთან ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებული მოსალოდნელი ორთოგრაფიული შეცდომები და პარონიმები.

ლექსიკონი შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართისაგან, რომელშიც წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმების, რიცხვითი სახელებისა და გეოგრაფიული სახელების საძიებლები. „ქართულ ლექსიკონში“ 25 ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეულია წარმოდგენილი, განმარტებულია 9 ათასამდე ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29 ათასამდე ზმნური ფორმა. ამდენად, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მიღება 60 ათასზე მეტი სიტყვისა თუ სიტყვაფორმის შესახებ.

ლექსიკონის შედგენისას გათვალისწინებულია ლექსიკოგრაფიის თანამედროვე ტენდენციები. ტრადიციულ წყაროებთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონული ტექსტური რესურსები. სალექსიკონო მასალა მომზადდა სპეციალური კომპიუტერული პროგრამის – „ლექსიკოგრაფის“ – საშუალებით, რომელიც შეიქმნა ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფში. პროგრამა უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შესრულებას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი მეშვეობით შესაძლებელია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლექსიკონების მომზადება და გამოცემა.

ბეჭდური გამოცემის გარდა, „ლექსიკოგრაფის“ საშუალებით შეიქმნა და 2019 წელს გამოქვეყნდა ელექტრონული „ქართული ლექსიკონი“ (<https://www.ganmarteba.ge>).

საკვანძო სიტყვები: სასწავლო ლექსიკონი, ელექტრონული ლექსიკონი, პროგრამა „ლექსიკოგრაფი“, კომპიუტერული ლექსიკოგრაფია.

თანამედროვე ლექსიკოგრაფიის დამსახურებაა ლექსიკონების დიდი სოციალური მნიშვნელობის აღიარება. გასული საუკუნის უკანასკნელი ათწლეულიდან მოყოლებული, მკვიდრდება ახლებური ხედვა, რომელიც ლექსიკოგრაფიას წარმოგვიდგენს, როგორც სოციალური საქმიანობის სფეროსა და დამოუკიდებელ მეცნიერებას. ეს უპირველესად უკავშირდება ბერგენჰოლცისა [Bergenholtz, Bothma, 2012] და ტარპის [Tarp, 2012] შრომებს. ლექსიკოგრაფიის ობიექტს წარმოადგენს ლექსიკონთა კვლევა და იმგვარი ლექსიკონების შექმნა, რომლებიც დააკმაყოფილებს კონკრეტული ტიპის მომხმარებლის მოთხოვნებს.

ლექსიკოგრაფიაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უკანასკნელ ათწლეულებში მომდინარე პროცესებმა – ტექნოლოგიურმა ნახტომმა, ახალმა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო პარადიგმამ. ამ ვითარებაში ლექსიკოგრაფია აღმოჩნდა სრულიად ახალი შესაძლებლობების, განსხვავებული „ციფრული გარემოსა“ და ახალი ამოცანების წინაშე. თანამედროვე ლექსიკოგრაფიის ყურადღების ცენტრშია სამი ურთიერთდაკავშირებული ასპექტი: ინფორმაცია, მასზე წვდომა და მომხმარებელი. ამდენად, ლექსიკოგრაფია ყალიბდება როგორც მულტიდისციპლინური დარგი, კერძოდ, ინფორმაციას უზრუნველყოფს ლინგვისტიკა, მომხმარებლის პროფილს შეისწავლის და განსაზღვრავს სოციოლოგია, ხოლო ინფორმაციაზე წვდომის გზებსა და ხერხებს – ინფორმატიკა (ინფორმაციული მეცნიერებები).

ციფრულმა ეპოქამ ლექსიკონების შემდგენლებისაგან მოითხოვა სტრატეგიების გადახედვა ლექსიკოგრაფიული წყაროების დამუშავების, ინფორმაციის შინაარსის განსაზღვრისა და ახალი ტიპის მომხმარებელთან ურთიერთობის თვალსაზრისით. ტრადიციული ლექსიკოგრაფიის წიაღში გაჩნდა ახალი მიმართულება – კომპიუტერული ლექსიკოგრაფია. იგი მიზნად ისახავს შექმნას როგორც ელექტრონული ლექსიკონები, ისე პროგრამული ინსტრუმენტები, რომლებიც დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს ბეჭდური თუ ციფრული ლექსიკონების შედგენაში.

დროის მოთხოვნამ განსაზღვრა ახალი ტიპის ლექსიკონების შექმნის აუცილებლობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კონცეპტუალურად განსხვავებული ტიპის სასწავლო ლექსიკონების გაჩენა. ისინი წარმოადგენს მნიშვნელოვან საგანმანათლებლო რესურსს. ასეთია, მაგ.: ინგლისური ენის შემსწავლელთათვის კემბრიჯის, ოქსფორდის, ლონგმანისა და მისთ. სასწავლო ლექსიკონები.

ყოველივე ეს მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ლექსიკოგრაფიისაგან მოითხოვს უახლესი ტენდენციების შესაბამისი სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შექმნასა და ციფრული ტექნოლოგიების სრულფასოვან გამოყენებას [ლოლაძე, 2004].

ერთ-ერთ ამგვარ მცდელობას წარმოადგენს „ქართული ლექსიკონი“, რომელიც 2014 წელს გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ. ლექსიკონის კონცეფციის ავტორები და შემდგენლები არიან: გიორგი ცოცანიძე, ნანა ლოლაძე, ქეთევან დათუკიშვილი.


„ქართული ლექსიკონი“ არის ქართული ენისათვის შექმნილი პირველი ილუსტრირებული სასწავლო განმარტებითი ლექსიკონი. მისი დახმარებით მომხმარებელს შეუძლია, ერთი მხრივ, ადეკვატურად გაიგოს ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა და, მეორე მხრივ, მართებულად გამოიყენოს ის შესაბამის კონტექსტში.

ლექსიკონი მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქტიურ სიტყვიერ მარაგს, ითვალისწინებს აგრეთვე სასაუბრო ლექსიკას. მასში ასახულია ნეოლოგიზმები, რომლებიც გაჩნდა ენაში უკანასკნელ ათწლეულებში ქვეყანაში

მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკურ-კულტურული მოვლენების შედეგად.

ლექსიკონში სიტყვები განმარტებულია ნათელი, მარტივი ენით. არ გამოიყენება ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ნაკლებ აქტიურია, ვიდრე განსამარტავი სიტყვა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ლექსიკონში წარმოდგენილი გრაფიკული ილუსტრაციები, რომლებსაც მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვთ და გარკვეულწილად ავსებენ სიტყვათა განმარტებებს.



ლექსიკონში მოცემულია თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით მართებული ფორმები. ზოგიერთ სალექსიკონო ერთეულთან ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებული, და ამდენად, მოსალოდნელი ორთოგრაფიული შეცდომები და პარონიმები.

ლექსიკონი შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართისაგან, რომელშიც წარმოდგენილია ზმნის პირიანი ფორმების, რიცხვით სახელთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

„ქართულ ლექსიკონში“ 25 ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეულია, განმარტებულია 9 ათასამდე ნაწარმოები სიტყვა და ფრაზა, მოცემულია 29 ათასამდე ზმნური ფორმა. ამდენად, მომხმარებელს შეუძლია ინფორმაციის მიღება 60 ათასზე მეტი სიტყვისა თუ სიტყვაფორმის შესახებ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ლექსიკონში ზმნა. ქართულ ენათმეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის შესახებ, ზმნის პირიანი ფორმა უნდა იყოს სალექსიკონო ერთეული თუ საწყისი. „ქართული ლექსიკონის“ დანიშნულების გათვალისწინებით, ოპტიმალურად მივიჩნიეთ შემდეგი მოდელი: სალექსიკონო ერთეულად ზმნა წარმოდგენილია საწყისის სახით, რომელსაც ფრჩხილებში მითითებული აქვს ძირითადი ზმნური ფორმები (ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან ერთად). სალექსიკონო სტატიას ამგვარი სახე აქვს:

დახატვა დახატვის (დახატავს, დაახატავს, დაიხატავს, დაუხატავს, დაიხატება, დაეხატება, დაახატვინებს) 1. ხაზებისა და ფერების საშუალებით რაიმეს გამოსახვა. *პეი ზაჟი დახატა.* 2. გადატ. წარმოჩენა, ნათლად აღწერა. *ავტორმა შესანიშნავად დახატა პერსონაჟი.*

ლექსიკონს ერთვის პირიან ფორმათა საძიებელი, სადაც ანბანურ რიგზეა მოცემული ზმნური ფორმები და თითოეულ მათგანთან მითითებულია საწყისი. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ საძიებლის მცირე ფრაგმენტს:

დახარისხდება
დახარისხება
დახარჯავს დახარჯვა
დახასიათდება
დახასიათება 1
დახატავს დახატვა
დახედავს დახედვა
დახევს დახევა¹
დახევს დახევა²
დახელოვნდება
დახელოვნება
დახერხავს დახერხება

საძიებელში ზმნის პირიან ფორმასთან მითითებული საწყისის საშუალებით მომხმარებელს შეუძლია ლექსიკონში ნახოს ამ ზმნის შესაბამისი განმარტება და სხვა ინფორმაცია.

ლექსიკონის შედგენისას, ტრადიციულ წყაროებთან ერთად, გამოყენებულია ელექტრონული ტექსტური რესურსები. ლექსიკოგრაფიული სამუშაოები განხორციელდა პროგრამა „ლექსიკოგრაფის“ საშუალებით. ეს პროგრამა შეიქმნა „ლინგვისტური ტექნოლოგიების ჯგუფში“, მისი ავტორია მერაბ ზაკალაშვილი (დათუკიშვილი, ლოლაძე, ზაკალაშვილი, 2022). პროგრამა უზრუნველყოფს ლექსიკოგრაფიული სამუშაოების შესრულებას ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი მეშვეობით შესაძლებელია როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული ლექსიკონების მომზადება და გამოცემა.

ბეჭდური გამოცემის გარდა, „ლექსიკოგრაფის“ საშუალებით შეიქმნა და 2019 წელს გამოქვეყნდა ელექტრონული „ქართული ლექსიკონი“ (<https://www.ganmarteba.ge>). ლექსიკონის კონცეფციის ავტორები და შემდგენლები არიან: მერაბ ზაკალაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, ნანა ლოლაძე.

ელექტრონული „ქართული ლექსიკონი“ განკუთვნილია მომხმარებელთა ფართო წრისათვის. იგი მოიცავს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის აქტიურ ლექსიკას. ამჟამად ლექსიკონში 41462 სიტყვა-სტატიაა. მას აქვს მოქნილი საძიებო სისტემა, სახელები წარმოდგენილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, ზმნების ძიება კი შესაძლებელია როგორც საწყისის, ისე პირიანი ფორმის მიხედვით. განმარტებები მოცემულია საწყისებთან. პირიანი ფორმიდან ბმულის საშუალებით შესაძლებელია საწყისზე გადასვლა და შესაბამისი განმარტების მოძიება.

სალექსიკონო სიტყვა-სტატია შემდეგი სტრუქტურისაა:

- სალექსიკონო ერთეული
- გრამატიკული ინფორმაცია
- განმარტება
- იდიომები და მყარი შესიტყვებები
- ბმულები

ბმულებში იმ სიტყვათა ჩამონათვალია მოცემული, რომლებიც ნაწარმოებია სალექსიკონო ერთეულის ფუძისაგან და რომლებზეც შესაძლებელია ავტომატურად გადასვლა, მაგალითად, სტატიაში „**ბავშვი**“ ბმულებში მითითებულია: **ბავშვიანი**, **ბავშვობა**, **ბავშვური**. ავტომატურად ხორციელდება აგრეთვე გადასვლა სიტყვა-სტატიაში მითითებულ სინონიმებსა და ანტონიმებზე [დათუკიშვილი, ლოლაძე, ზაკალაშვილი, 2019].

ელექტრონული ლექსიკონის დიზაინი მინიმალისტურია. ინფორმაცია ისეა

სტრუქტურირებული, რომ მარტივად აღსაქმელი იყოს. მოქნილი საძიებო სისტემა და სტატიიდან სტატიაზე ავტომატურად გადასვლის შესაძლებლობა ლექსიკონს მომხმარებლისათვის უფრო კომფორტულსა და მიმზიდველს ხდის.

წარმოვადგენთ სალექსიკონო სტატიას „გზა“ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ არის მოცემული ერთი და იგივე ინფორმაცია ბეჭდურ და ელექტრონულ ლექსიკონებში.

ბეჭდური ლექსიკონი

ელექტრონული ლექსიკონი

გზა გზის 1. მიწის ზედაპირზე გაყვანილი ან ჰაერ-სა და წყალში მონიშნული ზოლი, რომელიც განკუთვნილია მიმოსვლისთვის. <i>საავტომობილო გზა. საცალფეხო გზა. საზღვაო გზა.</i> 2. გადატ. გამოსავალი, საშუალება, შესაძლებლობა. <i>მეტი გზა არ იყო. სხვა რა გზაა.</i> 3. გადატ. რაიმეს გაკეთების ხერხი, მეთოდი. <i>ამოცანის ამოხსნის გზა. პრობლემის გადაჭრის გზა.</i> ▲ გზად ზმნზ. გავლით, მგზავრობისას. <i>გზად შემოივლის. გზად ამასაც გაიყოლებს.</i> ▲ გზაში, გზაზე ზმნზ. სიარულისას, მგზავრობისას. <i>გზაში შეხვდა. გზაზე წაანყდა.</i> ● გზა მშვიდობისა! მგზავრის დალოცვა ნასვლის წინ. ● გზას ასცდება (ააცდენს) შეცდება, რაიმე ცუდს ჩაიდენს (ჩაადენინებს). ● გზას გადაუღობავს წინ გადაუდგება, ხელს შეუშლის, წინსვლის საშუალებას არ მისცემს. ● გზას გაუკაფავს თავისი საქმიანობით სხვას მომავალში შრომას გაუადვილებს. ● გზიდან გადააცდენს შეაცდენს, რაიმე ცუდს ჩაადენინებს. ● გზის მიცემა ვინმესთვის სწორი რჩევის მიცემა, სწორად მითითება. ● შენ იქით გზა არა მაქვს შენი დახმარების გარეშე ვერაფერს შევძლებ.	გზა არსებითი სახელი ნათესაობითი ბრუნვა: გზის 1. მიწის ზედაპირზე გაყვანილი ან ჰაერ-სა და წყალში მონიშნული ზოლი, რომელიც განკუთვნილია მიმოსვლისთვის. <i>საავტომობილო გზა. საცალფეხო გზა. საზღვაო გზა.</i> 2. გადატანითი გამოსავალი, საშუალება, შესაძლებლობა. <i>მეტი გზა არ იყო. სხვა რა გზაა.</i> 3. გადატანითი რაიმეს გაკეთების ხერხი, მეთოდი. <i>ამოცანის ამოხსნის გზა. პრობლემის გადაჭრის გზა.</i> იდომები და მყარი შესიტყვებები გზიდან გადააცდენს შეაცდენს, რაიმე ცუდს ჩაადენინებს. გზას გაუკაფავს თავისი საქმიანობით სხვას მომავალში შრომას გაუადვილებს. გზის მიცემა ვინმესთვის სწორი რჩევის მიცემა, სწორად მითითება. შენ იქით გზა არა მაქვს შენი დახმარების გარეშე ვერაფერს შევძლებ. გზა მშვიდობისა! მგზავრის დალოცვა წასვლის წინ. გზას ასცდება (ააცდენს) შეცდება, რაიმე ცუდს ჩაიდენს (ჩაადენინებს). გზას გადაუღობავს წინ გადაუდგება, ხელს შეუშლის, წინსვლის საშუალებას არ მისცემს. ბმულები <i>გზად გზაზე გზაში საგზაო</i>
---	--

ამ ბოლო წლებში სულ უფრო ფართოვდება ელექტრონული „ქართული ლექსიკონის“ მომხმარებელთა წრე როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ციფრულ ეპოქაში ამ ტიპის ლექსიკონებზე მოთხოვნა დიდია და ლექსიკოგრაფია სწორედ ამ მიმართულებით უნდა განვითარდეს.

ლიტერატურა:

დათუკიშვილი ქ., ლოლაძე ნ., ზაკალაშვილი მ. (2022), პროგრამა „ლექსიკოგრაფი“ – ლექსიკოგრაფიული სამუშაოების მართვის ინსტრუმენტი. დიგიტალური ქართველოლოგია, 1, დიგიტალური ჰუმანიტარიის აკადემიისა და ფრანკფურტის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიოლოგიის მიმართულების ერთობლივი სამეცნიერო გამოცემა, ტ., I, 2022, ISSN 2720-8427, გვ. 111-119.

დათუკიშვილი ქ., ლოლაძე ნ., ზაკალაშვილი მ. (2019) ქართული ენის ელექტრონული განმარტებითი ლექსიკონი. ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები V – ისტორიული და ეტიმოლოგიური ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბ., 15-17 დეკემბერი, 2019

ლოლაძე ნ. (2004), მნიშვნელობის ანალიზი და კომპიუტერული ლექსიკოგრაფია, სამეცნიერო კონფერენცია ბუნებრივ ენათა დამუშავება, თბილისი, 2004.

Bergenholtz H. Theo J. D Bothma (2012), Needs-adapted Data Presentation in e-Information Tools, <https://www.researchgate.net/publication/269868931>, pp. 53-77

Tarp, S. (2012), Do We Need a (New) Theory of Lexicography, <https://www.researchgate.net/publication>

ლექსიკონები

<https://dictionary.cambridge.org/dictionary/learner-english/>

<https://www.oxfordlearnersdictionaries.com/>

<https://www.ldoceonline.com/>

Lexicography in the Digital Age

("The Georgian Dictionary")

Loladze Nana

Datukishvili Ketevan

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics, Linguistics Technology Group, Tbilisi

Abstract

"The Georgian Dictionary" is the first Learner's dictionary of the Georgian language. It was published in 2014 by Bakur Sulakauri Publishing House. The dictionary is intended for everyone interested in learning the Georgian language or deepening and refining their knowledge. With its help, users can both adequately understand the meaning of a given word and use it appropriately in the correct context.

The dictionary covers the active vocabulary of modern standard Georgian, while also taking into account colloquial language. It includes neologisms that have emerged in the language over recent decades as a result of the country's social, political, economic and cultural changes.

Definitions in the dictionary are presented in a clear and simple language. Lexical items that are less common or less active than the defined word are intentionally avoided in the definitions.

The compilation of the dictionary is based on modern trends in lexicography. In addition to traditional sources, electronic text resources have also been utilized. A special computer program called "**Lexicographer**" was developed to support the lexicographic work using digital technologies. This software enables the preparation and publication of both printed and electronic dictionaries. Using the **Lexicographer** software was created the Electronic "Georgian Dictionary" – <https://www.ganmarteba.ge> (2019).

Keywords: *Educational Dictionary, Electronic Dictionary, Program "Lexicographer", Computational Lexicography.*